საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030166895409321

№ 01-444/ო **09 / ნოემბერი / 2021 წ.**

COVID-19 სამკურნალო მედიკამენტის ,,ბარიციტინიბის“ განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ‘‘ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ,,COVID-19-ით ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში მედიკამენტ ,,ბარიციტინიბით“ (შემდგომში - მედიკამენტი) მკურნალობის წესი“ N1 დანართის შესაბამისად.

2. მედიკამენტის განაწილების წესი განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - განმახორციელებელი) უზრუნველყოს მედიკამენტის განაწილება „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/ო ბრძანების (შემდგომში - მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის № 01-467/ო ბრძანება) მიხედვით COVID-19 სამართავად მობილიზებულ კლინიკებზე (შემდგომში - მედიკამენტის გამცემი დაწესებულება), N2 დანართის შესაბამისად;

ბ) განმახორციელებელი უფლებამოსილია, განახორციელოს ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებიდან N3 დანართით განსაზღვრული რაოდენობების მიხედვით მედიკამენტის მობრუნება და დასაწყობება შემდგომი შენახვისა და გაცემის მიზნით;

გ) განმახორციელებელი უფლებამოსილია, პაციენტ(ებ)ის საჭიროების გათვალისწინებით, კლინიკის მომართვის საფუძველზე და მედიკამენტის მარაგის არსებობის შემთხვევაში, შემდგომი დასაწყობებისა და ამ ბრძანებით დადგენილი პირობების შესაბამისად გაცემის მიზნით, მედიკამენტი ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კლინიკების გარდა, გადასცეს მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/ო ბრძანების მიხედვით COVID-19-ის სამართავად მობილიზებულ კლინიკებს, ასევე, ამ პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კლინიკებს, მათი მარაგის ამოწურვის შემთხვევაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ამასთან, კლინიკა ვალდებულია თავად უზრუნველყოს მედიკამენტის ტრანსპორტირება;

დ) COVID-19-ის დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებული ცალკეული პაციენტის მკურნალობის პროცესში მედიკამენტის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იმავე სამედიცინო დაწესებულების ორი ექიმი, რომლებიც ხელმძღვანელობენს ამ წესით, COVID-19 მართვის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით;

ე) დაუშვებელია კომერციული მიზნით მედიკამენტის რეალიზაცია ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა, მედიკამენტის გადაცემა/დათმობა სხვა პირზე, რაიმე ფორმით მედიკამენტის ან მისი შეფუთვის (კოლოფის, ბოთლის, ბარ-კოდის სტიკერის) დაზიანება, გაყალბება, ან გაყალბების მცდელობა.

3. ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მედიკამენტის ხარჯვის შესახებ ანგარიშის მიწოდება განმახორციელებლისთვის, განმახორციელებლის მიერ განსაზღვრული ფორმატისა და ვადების მიხედვით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „COVID-19 სამკურნალო მედიკამენტის „ბარიციტინიბის“ განაწილებისა და COVID-19-ის დიაგნოზის მქონე ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 ოქტომბრის N01-411/ო ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე